



საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

19 იანვარს

გ ა მ რ ი ც ე მ ა

№ 3

კ ვ ი რ ა მ ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მო-  
წერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში  
„თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი:  
Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი

## „თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე ღირებულება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოეცა კვირაში ერთხელ, კვირბობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქაქაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მოწერათათვის ღირს სუთი (5)  
მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

მოამზადლ 1886 წლიდან აქაქი წერიტოვლი დამოუკიდებელ მოხაწილეობას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

კვირას, 19 იანვარს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

რაც ვინახავს ველარ ნახავ

პომედია 3 მოქმედ. თხზ., ა. ცაგარლისა

II

გ უ თ ი ა მ ბ ა

მოღვეილი 1 მოქმედ., თხზ., აქაქი წერეთლისა

ადგილებს ფასი ხვეულებობიგა

ღასაწყისი 8 საათზე.

კამეტი ქართულს სცენაზედ.

(დასასრული \*)

მჭელია, როგორც მეორე გმირი ამ ტრაგე-  
დიისა იმის თამაშობის გარჩევას შეუდგეთ, თუ მ.  
საფაროვი-შაშიძისამ რამოდენად ხელოვნურათ და  
კოცხლათ დახატა ეს ნაზი გრძნობებით აღჭურვილი  
ქმნილება; ეს ტიპი ისეთის სისრულით დაკოცხლად  
იყო დახატული, რომ სიტყვაც არა გვაქვს იმოდენი,  
თუ როგორ ვაქოთ ეს ნიჭიერი არტისტა, რომელ-

\*) იხილე „თეატრი“ № 2.

საც ჯეროვანათ ვერ აფასებს ჩვენი ქართული ბეცი პუბლიკა. იქ სადაც თეატრალურს ხელოვნებას პირველი ადგილი უჭირავს ისინი-კი შეიბუშნებდნენ ამ არტისტის ნიჭს, მაგრამ ქართულს თეატრში ხელოვნებას მიკიტნები აფასებენ, რადგანაც იმათ მეტი არა-ინ დადის თეატრში. მ. საფაროვი-აბაშიძისამ მეტად მშვენიერად და ხელოვნურათ დახატა მღვლიას ნაწი გრძობანი, რომელნიც მაში სადგურობენ და რომლის მსხვერპლიცა ხდება; იმას ემჩნეოდა, რომ იმის გულში სტრიალებდა სხვა-და-სხვა ხასიათების სიყვარული, რომელნიც სულით სტანჯავდნენ, მაგრამ ყოველივე ნათლად ამას მხიარულის გულით ეგებებოდა მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრემდის იმის ნაზს გრძობას ატანა შეეძლო; მხოლოდ როდესაც იგი ჰკარგავს ორივეს, ესე იგი, მშობლიურს და ჰამლეტის სიყვარულს, მაშინ გონება ერყევა და ჰკუაზედ იმლება. ისეთის ხელოვნურათ დახატა მ. საფაროვი-აბაშიძისამ ჰკუაზედ შეშლილის ფსიხიკური მდგომარეობა, რომ თვითონ გამოჩენილს ექიმებს გაკვეთილებათ გამოადგებოდათ და იქიდგან გამოიცილობდნენ, თუ ჰკუაზედ შეშლილნი რა შეხედულებას იღებენ.

5. საბუელს მეტად რიგიანად შეეგნო მოხუცი პალონიოს როლი, რომელიც მეტად ხელოვნურად დახატა ყოველივე იმის სულის შინაგანი წყობილებანი; ყოველივე სიტყვას თავის შესაფერი სახის გამომეტყველობა მოსდევდა, რომლის სხეულის ესტეტიკულაცია ტელეგრაფივით საზოგადოებასა სცემდა ყოველივე შთაბეჭდილებას. მრთი სიტყვით 5. საბუელს რიგიანათ შეესწავლა ამ ტიპის ყოველივე ხასიათნი. საერთოთ ამ მსახიობს რიგიანათ ესმის თეატრალურის ხელოვნების ღირსება და ყოველთვის რიგიანათ ასრულებს ხოლმე თავის პირ-და-პირ დანიშნულებას. მრთი სიტყვით ეს ნიჭიერი მსახიობი აუცილებელს საპიროგბას შეადგენს ქართული თეატრისათვის.

6. ანდრონიკაშვილისა საერთოდ რიგიანად ასრულებს და ჰამლეტშიაც რიგიანად ითამაშა დედოფლის როლი. არ შეგვიძლიან უყურადღებოდ გაუშვათ ის ადგილი, როდესაც ჰამლეტი ელაპარაკება და სცილობს სულით დასტანჯოს. ეს ადგილი როგორც ეტყობოდა მშვენიერათ შეესწავლა და სინამდვილით გაატარა. იმის გულიდგან გამოისმოდა: ტანჯვა, მწუხარება, შეწყნარების თხოვნა, ჰამლეტის მშობლიურათ სიყვარული, რომლის გულსაცა ხდის და იქიდგანა კითხულობს ყოველივე დედა-კაცის სულის და ხასიათების სისუსტეს. ეს ყოველივე ფსიხიკური კანონები მეტად ხელოვნურად იყო დახატული ქ. ანდრონიკაშვილისაგან.

7. მოხევემ ჩვეულებისამებრ როლი არ იცოდა და ის ადგილები, სადაც კაცი ცრემლით უნდა დაიღვაროს, იმან კომიკურად გაატარა და ხალხი ტირილის მაგიერ ხარხარით მიეგებებოდა ხოლმე იმის გამოხეულას, მაგალითად ის ადგილი როდესაც დედოფალს ამბავი შემოაქვს, რომ მღვლია წყალში დაიხრჩოვო, ისეთის ხმით და სხეულის მოძრაობით წარმოსთქოა. მოხევემ სიტყვა «დაიხრჩო», რომ შეუძლებელი იყო საზოგადოებას არ გასცინებოდა.

8. მს დიდათ სამწუნაროა, რომ 5. მოხევეს რამოდენათაც თეატრი უყვარს, იმოდონათვე როლების სწავლა ეგვარება, მით უფრო რომ 5. შექსპირის პიესებში როლის უსწავლელათ თამაშობა არ შეიძლება.

9. მაქსიმოძემ ისეთი უხვირა შთაბეჭდილება იქონია ჩვენზედ, რომ აღარც-კი გენდა მოვიგონათ; მეტადრე იმისი ნაწი და მელიოდიური ხმა, რომელიც მოშლილი წისქვილის ღრითინს წაავავს. სრულებით ვერ შეეგნო 6. მაქსიმოძეს ბორაცოოს როლი. ჩვენ თვალწინ იდგა თვითონ 6. მაქსიმოძე და არა შექსპირის ბორაცოო. მრთი სიტყვით კაცს, რომ თვალი ედევნებინა იმისათვის, უეჭველად იფიქრებდა, რომ ბორაცოოს როლი მეტია ჰამლეტშიო, ის კი არა, თუ ბორაცოო კი არ არის მეტი, 6. მაქსიმოძე უხვირა მსახიობია და თავის ქცევით ხელოვნებას აწამებს.

10. ცაგარელი, თუმცა ცდილობდა შეესრულებინა თავის როლი, მაგრამ სრულიად იმის როლი არ არის და ამიტომაც ვერაფერს შევლობდა მქადელობა. იმას არ ეტყობოდა ის მეფური დიდება, რომელიც იმის ხასიათს შეადგენს; აგრეთვე სიღარბისღეს მოკლებული იყო, მაგრამ სწორედ უნდა სთქოს კაცმა, რომ დაახლოებით რიგიანათ გვაჩვენა ეს ტიპი. მხოლოდ როგორც ეტყობოდა, რიგიანათ ვერ შეეგნო, თუ ვერ შეიძლო, იმ მღელვარების ჩვენება, როდესაც წარმოდგენას უყურებენ. იმის სახე სრულიად არასა ხატავდა, და უეტრივ წამოხტა და გაიქცა.

11. ლომიძე საერთოთ, სეინილისიანად ეკიდება თავის საქმეს და როლებს რიგიანათა სწავლობს; თამაშობის შესახებ კი ვერას ეტყევით, რადგანაც ჯერ იმისთანა როლი არ უთამაშნია, რომ შეგვეძლოს რამე მსჯელობა გავსწიოთ, მხოლოდ ამას კი ეტყევით, რომ თუ ვგრე ეცადა, რიგიანი მსახიობი დადგება. ღანარჩენს მსახიობთაც არა უჭირდათ რა. მრთი სიტყვით დასლოებით მიადწიეს და შეასრულეს

თავიანთ დანიშნულებანი, თუ რომ ამ ორს ზეშაყვანილს პირს არ დაეშალა.

o. კავთელი.

მომავლანი ბავშვი

დედა საწყაღი მიღ გაფთხობილი,  
 დღე და დამ დასტყვეს მომაკვდავ შვილსა;  
 დასტყვეს, დღედაცა, იმედსა სწუგეტაცს  
 რომ ის შორდება თვის ერთსა შვილსა.  
 სარტყელს ფართოსავს, გულთ იგრეფს სელსა,  
 ყვირის, უწოდებს დედას ერთგულსა:  
 — „იშუგლე, დედი! გვედები ზატანა,  
 თავს ნუ მარიდებ, მადი აქ ჩქანა! —  
 შენ მიეფარე, ტყეს ვსედავ გაზნა,  
 ისიც გაგშორდა, მეც მივდეგ თანა!“  
 — „იკმარე, კარგი, შაქრო ზატანა,  
 გამოერგე, იკრიფე მადა;  
 რაც რომ გუძინა გვერს კმარა,  
 განა ვერ მსედავ, მე რომ აქ კან?  
 დედა დასტყვეს, შაქრო სუსტდება,  
 თვესივით ხტუნავს, სუნთქა უდგება.  
 ბოლოს ტირილით დედას შეჭვირნა:  
 — „გერ დედილო, ვიდაც მიძახის,  
 ფთხებინა, შორს მიქნეს თათსა!...  
 აკერ ვერ სედავ ღრუბლებს მიჭკვირა...  
 მიწვევს, შვირდება... სამოთხას ბელსა...  
 მზესეგით ანათებს... რა ლამაზია!...  
 ეს სიზმარს არ ჭკავს, სწორედ ცხადია...  
 მშვიდობით დედავ... სსვას მივდეგ მშათა!“...  
 მივიდა დედამ სელთ აიფანა,  
 ყური მიუგდა, გულს მისეკნა  
 ძაგრამ, ამათ! მან განისკვნა!  
 მკრთალი ღაყვარდი შირს მოჭიქნადა,  
 შესსიქნება მთლად დაჭკარვოდა,  
 მზის შუქი პადეთ, ზედ დაჭიქნადა!...

ეველტონი

ნაზრახნი აღვილი

(მოთხრობა \*)

მეორე დღეს ღარეჯანამ სულ ქორწილისთვის მზადებაში გაატარა; სტუმრებიც ბევრი მოიწვია, ერთი

\*) იხილე „თეატრი“ № 2.

სიტყვით სანაქებო ქორწილი უნდა გარდაეხადა. რომ არ გარდაეხადა კიდევ დაზძრახავენ. მინ ჰყავდა იმის მეტი? შინ გასათხოვარი აღარ გააჩნდა და გარედამ მოსაყვანს არ ელოდებოდა. რაც შეეხებოდა მის სასიძოქს იგი განსაკუთრებით არასფერს არ წარმოადგენდა, იგი ეკუთვნოდა იმ ახალგაზდა ბიჭების წრეს რომლებიც პატარაობიდანვე სტოვებენ დედ-მამის სახლ-კარს და ეშურებიან ქალაქებისაკენ. იქ სამსახურში ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს, თუ ლაქია-ბენ, თუ მზარეულობენ. ამ ხელობებში ამპარტაენობას და მეტიჩრობას იძენენ; რასაც იზოვიან ტანზე შემოიკრავენ და შინისაკენ როდესაც დაბრუნდებიან ბრძანებლობენ კიდევაც. შეწმარტად კი ქარაფსუტა არსებების მეტს არას წარმოადგენენ.

ღესპინე მთელი დღე ჰკუილამ შეშლილსავით იყო. მას როგორც პირუტყვს ისე დათრევენ მეზობლის ქალები; დედოფალსავით: ხან ერთ გვარად მოკაზმადენ, ხან მეორე გვარად. საკურეელი იყო მისი მდგომარეობა ეკლესიაში, — განსაკუთრებით, როდესაც მას ჰკითხეს, გსურს თუ არაო? — მან ასულის ნაცვლად ცახცახი დაიწყო ცივებიანსავით. მართი კიდევ დაუბნელდა თვალები ის-ის იყო მზათ იყო წასაქცევად, მაგრამ თავი შეიმავრა, თუმცა ენის განძრევის ღრის ძიება აღარ ჰქონდა. რომ ჰქონოდა განა მაშინვე არ დაიძახებდა «არა არ მინდაო»? შემდეგ ჯვარის წერისა მეფე დედოფალი სახლში წამოიყვანეს, ჩვეულებისამებრ ყველანი ულოცავდნენ ბედნიერებას. იმას კი აღარ კითხულობდნენ: საბრალო ღესპინე ბედნიერი იყო მართლა თუ არა. ჩვეულები-სამებრვე დედოფალი სამთიობოში გაიყვანეს და დასტოვეს მარტოკა. მხლა კი მართლა საზარელი მდგომარეობა იყო მისი მდგომარეობა. იგი ჩამოჯდა ტახტზე და ნელ-ნელა გონზე მოსდიოდა. მას წინ დებოდა თუ რა მოუვიდა. ღვიდამ მან თავი დაღრუხულად ჩასთვალა. მსრე არასოდეს არ უგრძენია მას ობლობა, მარტობა. ღღეს დაქვემდებარება თავის ობლობაში. იგრძნო, რომ არ ჰყავს დედა, არ ჰყავს მამა. შემდეგ მოიგონა იაკობი, რომელსაც გაცვრით გარდაელო თვალი. ღღედა! რა საზიზღრად წარმოუდგა მას იგი. მისი ბეჭდებით შემკული ხელის თითები გველების თავებად მოეჩვენა. მისი სახე ეშმაკის სახედ. შეადარა საბრალომ მას თავის ბიორგი, ისეთი წყნარი, მშვიდი და მზიარული ბიორგი, რომელიც დღე-ღამე სამუდამოდ დაეკარგა, რომელზედაც ესრე უღვთოთ აღებინეს ხელი. შეადარა და სასო წარკვეთილმა დაიწყო საშინელი ტირილი. მისი ტირილის ხმა გამოეარა ღღეს სახლში, სადაც მექორწილები სმად ისხდნენ. ბევრმა შესწყვიტა სმა და სიმღერა ამ მოე-

ლენის გამო. იაკოფი, როგორც გარეთ ნამყოფი, გამოცდილი კაცი, მერმე ქმარი—გაექანა ღესპინესაკენ. მას გაჰყვა ღარეჯანა. მართავენი ანუგეშებდენ ღესპინეს, ეხეოდენ, ჰკითხავდენ მიზეზს მისის წუზილისას, მაგრამ პასუხის ნაცვლად უფრო და უფრო სტიროდა. უკანასკნელად ღარეჯანამ შემდეგი სიტყვებით ანუგეშა იაკოფი: „თავი დაანებე შეილო! ნუ გეშინია. მე თვალნაცემია და შელოცვის მეტი არა უნდა რა. ამ სიტყვებით სიძე და ბებია გამოვიდენ გარეთ.“

ღარეჯანასას დიდი კიჟინი იყო. სტუმრები უზომოთ სეამდენ;—ხოცავდენ ერთმანერთს ლენით. ღაჯიბრებული მსმელები წყვილ-წყვილად ისხდენ და თვალები ჩასისხლიანებოდათ მეტის-მეტი სმისაგან. ღაირა, ტაში, ცეკვა, მღერა ერთ ხმათ იყო არეული. რიჟრაჟი იყო. დაქანცული სტუმრები ისევ ისხდენ. ზოგი სუფრაზე ეყარნენ და ზოგი სუფრის ქვეშ. აქეთ-იქით გაიგონებდი, უთავბოლოდ წარმოთქმულს, რაიმე ოხუნჯურ შენიშვნებს. მხემ წვერი ჰყრა. სტუმრებიც იშლებოდენ. სამთიობოში, სულიერი ბრძოლისაგან მიქანცულს, ღესპინეს მისძინებოდა. მის შორი-ახლო იმავე ტახტზე მხარ თეძოზე წამოწოლილიყო მისი ქმარი იაკოფი.

სალამოს ჟამი იყო. მზე კიდევ დაკიდებულიყო ჩასავალად. ხეების ჩრდილები შორს განრთხეულიყვენ მინდორზე. ნიაფი დაჰქროდა და ფანტავდა მიდა მო მდღეოებიდამ და ტყვეებიდამ ამოტაცებულ სუნნელეზას. მწყემსები მინდვრიდამ შინისაკენ მოერეკებოდენ პირუტყვეებს. მრთი სიტყვით ყოველ გვარი ცხრველი განსვენებას ესწრაფებოდა, დღისით დაღალული. შირულ საჯალაბო სახლზე მიდგმულ ოთახში, ისხდენ ტახტზე ღესპინე და იაკოფი. მს უკანასკნელი ყოველ გვარ ღონის ძიებას ხმარობდა, ოღონდ ღესპინეს მისთვის ხმა გაცეცა

— მეყოფა, გენაცვალე! ნუ მომკალი. რას მემღური, რა დამიშაებია? მუზნებოდა იგი და სცდილობდა ქალისათვის ეკოცნა. მაგრამ ღესპინე არ ნებდებოდა და იგერებდა მას რაც ღონე ჰქონდა. უკანასკნელად, როდესაც მას საქმე გაუჭირდა, მკვანეთ უთხრა იაკოფს.

— პარგია! დამეხსენი შე ულეთო, თორემ ვიტრებ.

— რათა გენაცვალე? რათა შენი ჰირიმე? სატირალი რა გაქვს? რატომ არ გიყვარვარ, რა გემართება?

— არ მიყვარხარ, ვერ ვაიგე? უპასუხა ღესპინემ და მიიბრუნა პირი კედლისაკენ.

— მაშ სხვა გიყვარს? აბა მითხარი, ვინ გიყვარს? ჩასცივებოდა იაკოფი საცოდავს.

— დამეხსენი ღეთის გულისთვის, მეშინიან შენი. შენ საძაგელი ხარ.

— ჰერი ჰა! ახლა რა დროს ვეგებია? მინც უნდა ვიყო მინც ქმარი ვარ.

— ჰველა გჯობია შენ. ძალღს ჯოხით მინც მოიგერებს კაცი.

— რაგებს ბოდავ? ახლა გულს კი ნუ მომაყვანინებ. ჯოხით მოგერება თუ გინდოდა კაცს აღარ მიეკარებოდი, რალაზე მომყვებოდა? მე ხომ ძალა არ მინხარია? რას ამბობ? მაგ გვარ სიტყვებს მე ქალბატონები და ბარიშნები ვერ მიბედავდენ ქალაქში. სულს ვერჩიე ყველას; უჩემოდ ლუკმას არ იღებდენ პირში. მერე ის ოხერი ბარიშნები. რა ღამაზები არიან, შენიჭირიმე! სულ გულზე მებეოდენ. სულ მკოცნიდენ. აი ასე... და იაკოფმა კვლავდ მოინდომა ღესპინეს კოცნა, რომელიც არასურათვის არ ეთანხმებოდა.

— მომშორდი, შენ ღეთის პირისაგან დაწყველილო!

— რამ გადაგრია აღამიანო? ახლა გულს კი ნუ მომაყვანინებ, თორემ მე თუ გავგულისდი, პა, პა, პა!

— ნეტაი კიდევ მომკლავდე. ღესპინეს თვალები ცრემლებით აეცხო. იაკოფამაც იგრძნო, რომ ღაპარაკი და ხუმრობა უსიამოვნობას ჩამოაგდებს მათ შორის და ამის გამო ამჯობინა ღესპინე მარტო დაეტოვებინა. მან ყველაფერი ესე შემჩივლა ღარეჯანას და უთხრა, რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიაო. ღარეჯანას რალა გაეწყობოდა გარდა იმისა, რომ ენუგეშებია შემდეგი სიტყვებით.

— ბავშვია, შეილო! დაცადე, ნუ აუჩქარდები, ქმარ შეილისა არა იცის რა ჯერ.

— შენ რალს მელაპარაკები. ძალი გათხოვილა, რალა დროს ბავშვია. ძაცის უნახავდ მნდი თუ როგორაა შენი საქმე, მუზნებოდა გაჯავრებული იაკოფი ღარეჯანას.

უსიამოვნობა თან და-თან იზრდებოდა ღარეჯანას ოთახში. საქმემ იქამდის მიადწია, რომ იაკოფმა ძალა იხმარა ღესპინეს გასაუბატოვრებლად. შემდეგ ამისა უფრო საზიზლარი შეიქმნა იაკოფი ღესპინესათვის. იაკოფის მდგომარეობაც ცუდი იყო. იგი კარგათ გრძნობდა ღესპინეს მისდამი სიძულელიღს; ამის მიზეზით იგი სულ მუღამ დღე ღრინავდა ავადმყოფი-

ვით. მრჯერ, სამჯერ, როგორც მოგახსენებენ, ხელითაც შეეხო ღესპინეს.

— როდემდის გინდა ეგრე მაწვალო. ის არ იფიქრო შენს მეტი სხვა რასმეზე ვიფიქრო. სანამდის შევიძლებ გცემ და არ გატირებ. ან მოგარჯულებ, ან სულ მოგკლავ. მუბნებოდა იაკოფი ღესპინეს, რომელიც პასუხს არ აძლევდა. უკანასკნელად თავმოხვრებულმა იაკოფმა გადასწყვიტა თბილ ქალაქში წასვლა მოჯამაგირედ. იფიქრა მან: «ერთს წელიწადს დავყოფ გარეთ, იქნებ ამ ხნობით მოჰკვიანდესო». შეიქრა ბარგი და არც კი გამოესალმა სახლობას.

— შენ ბებერო! შენ გებარებოდეს შენი შეილი-შვილი, და შენც ქალბატონო! ხომ გაცნობე თავი. იქილამ რო ჩამოვბრუნდები მაშინ უკვეთ გაცნობებ თუ არ მოგკვდი. ეს იყო იაკოფის უკანასკნელი სიტყვები დარეჯანა და ღესპინესადმი.

იაკოფის ქალაქში წასვლამ თავილამ ბოლომდე გამოსცვალა ღესპინეს მდგომარეობა. იგი თან-და-თან მშვიდდებოდა და ემორჩილებოდა თავის ბედს. დარეჯანამაც სულ სხვა გვარად დაიჭირა თავი შეილი-შვილთან. აღრინდულად აღარ ექცეოდა: უფრო პატივს სცემდა. რისაგან მოხდა—ეს ძნელი მოსაფიქრებელია. შეიძლება დარეჯანა დანაშაულად რაცხდა თავს ღესპინეს ასე უბედურ გათხოვებაში. მართალიც არის. იაკოფმა საკმაოდ შეიძულა თავი დარეჯანას თავის უმგვანი ქცევით, ასე რომ იმის აზრით სრული დანაშაული ცოლ-ქმარ შუა იაკოფი იყო.

ბიორგისაც ცოტა არ იყოს დარდი გულიდამ გარდაეყარა, იაკოფის წასვლის გამო. მან გაახშირა აელა-ჩამოვლა დარეჯანას სახლთან და ლობეებში გაჭვრეტ-გამოჭვრეტა. პირველში ღესპინე თავს არიდებდა ბიორგის და არ ეჩვენებოდა. მერმე და მერმე კი გაუადვილა თავის დანახვება. უკანასკნელად ერთს ღამეს, როდესაც ხუთმეტის დღის მთვარე დღესავით ანათლებდა არე-მარეს და თავის ფაქიზ სხივებს მოფენდა სოფელ ზემო-არგვეთის აქეთ-იქით გაფანტულ სახლებს, როდესაც მთელ სოფელს ჩასძინებოდა, ბიორგი გზა წვრილებში მიძვრებოდა და მიეშურებოდა დარეჯანასკენ. მიუახლოვდა რა ეზოს ლობეს, გარდაიხედა ლობის იქით. მან დაინახა ცნობილი ხის ქვეშ მჯდარი ღესპინე. ბიორგის აღარ მოუთმინა გულმა. იშვირა თავი და გადახტა ლობეზე, ღესპინემ რასაკვირველია დაინახა იგი. მას დაუწყო გულმა ტოკვა; ნეტარებასაც და ნაღველსაც ერთად გრძნობდა იგი. ამ ორ გრძნობას რაღაც გამოუთქმელი, გამო-

ურკვეველი სინანული დაერთო. ღესპინეს გული აუზვილდა. ბიორგი გაექანა მისკენ მოსახვევად, მაგრამ ღესპინე არ ნებდებოდა. მას მოაგონდა რაღაც მოვალეობა. მოაგონდა იაკოფი და ქორწინება.

— რა ამბავია ღესპინე? ნუ თუ აღარ გიყვარვარ? ჰკითხა გაკვირებულმა ბიორგიმ.

ამ კითხვამ საშინელი ზედ-გაეღენა იქონია ღესპინეზე. მინ ეკითხებოდა მას: „ნუ თუ აღარ გიყვარვარო?“ ბიორგი, ის ბიორგი, რომელიც სულსა და გულს ერჩია. ღესპინემ ხელეგი ჩამოყარა და ნაზად მიაცქერდა ბიორგის. არ გაუფლია წამს და იგინი მუსაიფობდენ ერთად.

შემდეგ ამისა ბიორგიმ გაახშირა და გაადვილა ღესპინესთან სიარული. მათი კავშირი თითქმის მთლად ერთიანად გამოაშკარავდა. პირველად დარეჯანას ძრიელ სწყინდა ეს გარემოება, მაგრამ შემდეგში თანდა-თან მიეჩვია. ძიღვეც დამშვიდდა და მათი დღეები წაყიდნენ ჩვეულებრივად, ხოლო ბიორგი და ღესპინე უფრო ნეტარებაში ატარებდენ დროს. მათ მთლად დაავიწყდათ იაკოფის არსებობა. ცოლ-ქმარი ეგონებოდა კაცს.

ბაიარა ერთმა წელიწადმა. ღადგა მეორე. მოახლოვდა ზამთარიც. მთელი თუმცა არ ჩამოუყრია, მაგრამ ყინვა და სიცივე საკმარისი იყო. ჩვეულებრივ, ზამთრის პირის ქარი მქინევარებდა. იგი მრისხანედ დაეტაკებოდა ხოლმე სახლის ფარდულებს, თითქოს დაქცევას ლამოდა და გარისხებული რა უკუ ბრუნდებოდა ამოიტაცებდა ტყვეებიდამ ჩამოცივინულ ფოთლებს და შრიალით მიაყრია სახლის დერეფანს. ღესპინეს ოთხი თვის პაწაწინა ბიჭი უწევ აკვანში და ცეცხლ-ნაპირას აწოვდა ძუძუს. აღარა სჯობდა რა ბავშვისა და დედის ნახვას ამ დროს. ბაღლი პაწაწინა ხელეებით ეკიდებოდა დედის ძუძუებს და გულმოდგინედ სწოვდა. შეუშვებდა ცუცუნა ტუჩებს ძუძუს და შეღიმებდა დედას, თითქოს ემადრიელებოდა ესრედ ტკბილი საზრდოსთვის და მზრუნველობისათვის. ღესპინეც ამით აღტაცებაში მოსული დაეხტნობოდა ბავშვს და ჰკოცნიდა სანამ სულის მობრუნება არ დასკირდებოდა. მთელი დღე ბიორგი არ მოსულიყო, და ღესპინე ბავშვზე იყოლიებდა თავს. ღალამდა. დარეჯანამაც შამოყო სახლში თავი. იგი იმ წამსვე ცეცხლისაკენ გაეშურა.

— უ, უ! რა სიცივეა! ამბობდა ბებერი. შეილო, მახშამი ხომ გვაქვს? ჰკითხა მან ღესპინეს.

— როგორ არა გვაქვს! უპასუხა მან. აგერ, ბავშვს მივაძინებ და მერმე ვივანშმოთ. ბავშვსაც დაი-

ძინა. დესპინე და ღარეჯანა დაეღაგნენ ვახშმად. შუა ქამის დროს ვილაცამ კარს წიხლი ჰკრა.

— მინა ხარ? ბაზძახეს ერთ-ხმით შემკრთალმა ქალებმა.

— მე განლავართ, თქვენი იაკოფი. ძარი გამიღეთ. მოისმა მრისხანე ხმა იაკოფისა. ორთავეს შიშმა ბოლო მოუღო. იგინი გაშეშდნენ. პელარა მოახერხეს-რა.

— ზამიღეთ კარი მეთქი. ზამიგორა ხმა, უფრო მკვახეთ. ღარეჯანა ინსტიკტიურად წამოდგა და წაბარბაცდა კარებისაკენ. დესპინემ ძაგ-ძაგი დაიწყო. მას ლუკმა შეაშეშდა პირში. აკვანი გვერდით ჰქონდა და ისიც ვერ მოახერხა კუთხეში გადაედგა.

— ოო! ჩემ ნახ ქალბატონს გაუმარჯოს. მიმართა იაკოფმა დესპინეს. ნუ გეშინიან მე ყველაფერი გაგებულნი მაქვს. ადექ, ადექ! შენი ნაბიჭერიანა გამშორდი აქედამ. დესპინე ვითარცა ხის ნამორი არ ინძრეოდა.

არ გესძიან? შე ოხრის შეიღო! მამშორდი მეთქი შენი ლეკვიანა. შეჭვირია იაკოფმა და ჩაჰკრა ორიოდ წიხლი. დესპინე არ ინძრეოდა, ვერ დგებოდა სირცხვილით და შიშით.

არ ხედავთ? სასაცილოთაც მიგდებს. ამ სიტყვებით მისწვდა საბრალო ქალს თმებში,—მიათრია კარებამდე და გაავლო გარეთ. მერმე მოტრიალდა დაავლო აკვანს ხელი და ისიც თან გაატანა. ღარეჯანა კუთხეში მიმალულიყო. მას ვერ შეეგნო თუ რა ხდებოდა იმის თვალის წინ. არ იცოდა ცხანდა თუ სიზმარი ყველა ეს. ბრაზ მორეულს იაკოფს მთლად დაევიწყდა ღარეჯანა. იგი დაჯდა ცეცხლ-ნაპირას. დიდ-ნანს ებრძოლა თავს. შემდეგ გარდმოშალა ქვეშ—საგებელი და გაეხვია შიგ.

(დასასრული შემდეგს ნომერში)



თბილისიდან თბილისს

(წერია ი. მკვაბარძას)

სარწმუნოეო მეგობარო ჰამხა! რაც ერთი-ერთმანეთს დაეშორდით, მე შენ ჩემის წერილებით არ შემიწუხებინარ. არც ეხლა გაგიკადნიერდებოდი, რომ ამ ფლიდს მოლა-მუშირს არ გამოეწვიე და ძალათი კალამი არ აეღებინებინა. მებრალეები, ჩემო ჰამხა, რომ ამისთანა მოამბე გაიჩინე, როგორც არის ეს

მოლა-მუშირი. დიდი ნაკლულევენება ამ ჩვენის საერთო მეგობრისა ის არის, რომ უპირო კაცია და ამასთან მეტის მეტი მსუნაგიც: საითკენაც არტალას ომხივარი აჰვარდება, ისიც იქითკენ გაექანება და იქ დასკუბდება. უპირო კაცი, როგორც იცი ჩვენმა ბრძენთა-ბრძენმა ძირდოუსმა დიაცის ქოშს შეადარა. ბოხვ უმორჩილესად ამისი პირველი წერილი, რომელიც ამან ერთს გურჯისტანელ გაზეთში, რომელსაც „მეტარი“ ჰქვიან და რომელსაც ის ეხლა «ჯამბაზს» ეძახის, დაბეჭდა,—ის წერილი ხელ-მეორედ, კარგა ყურის გდებით გადიკითხო. იმ წერილში, თავით ბოლომდე გატარებულია ერთი აზრი: გურჯისტანელი ლიტერატორების ცეცხლთა მოთაყვანე ქურუმების გმობა და კილვა. საბრალო გურჯისტანი! რამდენი ხანი იყო გონება დაბნელებული ცბიერი ქურუმთა დასის ჯამბაზური თვალთ-მაქცობით, მინამ ლეთის განგებით არ მოფრინდა ამ ქვეყანაში ერთი ზე-მოთაგონებული ქალთამბე, რომელმაც თავისი სხივოსანის სახით არ გააშუქა აქაური სიბნელე. მაშინ იმათ აეხილათ გონების თვალნი, მიხვდნენ ვინ იყენენ მათი გონებითი ჯამბაზობის მიზეზი, გაშუკოთებულნი მისცივიდნენ, შემუსრეს ქურუმთა ბომონი და თითონ ქურუმებიც ყელზედ წნელ-შებმულნი მტკვარში ჩაჰყარეს. აი ეს ცეცხლთათაყვანის ცემა, ანუ კერბთა მსახურება ხელ-მეორედ გაძლიერდა გურჯისტანში, რასაკერვლია, მხოლოდ სხვა სახით, სხვა ფორმით. აი ჩვენი მოლა-მუშირი თავის პირველ წერილში გაზეთ «მეტარი» ჰმოლტაედა ამ ცრუ პენტერებს. მერ წარმოიდგენ სადამდინ მიღწია ჩემმა განციფრებამ, როდესაც ეს, ჩვენის მაჰმადისაგან შეჩვენებული, დაეინახე სტვირით ხელში ქება-და-დიდებას ასხავდა გურჯისტანის (ივერიის) ქურუმთა-მთავარს და მათ კი, ვის წრეშიაც უწინ ჩადგა, ტლინკებს ესროდა! შუქირ-ჰალა!—ამასაც მოვესწარ. მაგრამ აქაური ქურუმთ მთავარი და ახალი გაზეთის „გურჯისტანის“ რედაქტორი მდიდარი კაცია და იმასაც არტალა არა ნაკლებ უყვარს ჩვენს მოლაზედ და სულ ყველაფერი ამ წყეული არტალის ბრალია. მოლა-მუშირი კი არა, ეს მოლა მასრადინაა. მაჰმადმა ჰკითხოვს ამას ჩემმ მაგიერი პასუხი. მე ამ ჟამად ამის მეტს არასფერს მოგწერ.

შენი დოჟდ-ხანი.

ა ნ ე ტ ა ს

წალმა-უყულმა ბრუნავს  
ჩვენი ბედისა ღღინი,  
მაგრამ ნუ გეშის სატრფოვ:  
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

ვამც ეცადოს შეპყრას  
ჩვენს სიყვარულსა ფრთენი,  
მერაოს გახედეს, გფიცაფარ:  
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

მეცხენელთ ძალნიც ამხედრდენ  
ჩვენს სამტროდ ანაგზენნი,  
მერ გაგყრინ მიხცა:  
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

მიდრე გული მყერღში სძვერს,  
ძარღვთ გვიღვას სისხლის შთენი,  
მანამ ვეტრფით ერთმანერთს:  
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

წუთი სოფლის ქამანდით  
მეცხოზობდეს როს ღღინი,  
შუანასკენელს წამს ვიტყვი:  
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

აბრაამის წილშიც  
როს ვიქნებით მყოფენნი,  
იქაც მით დავსტუბებით, რომ  
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

მამ ვიმხნევოთ, სატრფოვო,  
მემოთ მტრები ანაღრენი —  
ჩვენ მათთვის არ გეცალია:  
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

ჯაკ-გინტრას.

ქართულ თეატრს და მსახიობთ \*)

თუშე თეატრში დაგვიოდა, მაგრამ საქმით ვერ ვინცობდი;  
გარეგნობით ის მომწონდა, ნეტარებას მითი გვრძობდი.  
მსახიობნი შემოვივადენ, მათ სელობას შეგნატროდი;  
თუ შემოსევიოთ შემსგდებოდა, პიესებსაც ვეითხულობდი.

\*) ეს ლექსი ახალ წლის ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ვერ დაიბეჭდა.

რედ.

რა რომ საქმით გავიცანი, სარგებლობა გსცანი დიდი;  
იქ ყოფილა გონების წვრთვნა, სპატიო მოსარდი;  
სიბნელიდგან სინათლისკენ ფართო გზა და მკვიდრი სიდი.  
გვრძობდი მე იქ სიარუთით: — ცოტას ვოესდი, ბლომად ვმკვიდი.

პიესების შესახებ ვი მმრთებს, რომ ვსთქვას ცოტა რამა:  
რეპერტუარს გარეგია, ფლეკ-პოზაში და სეშლამა;  
თეატრს უნდა ყველა სადი, ადამიანს ვით სმა-ქამა,  
კომედია, ტრადედია, ვოდდევილი და თვით დრამა.

მ. მ. საფ — აბა...სას.

სტენისთვის თავდადებული, ზეთი არვინ გვეოლია;  
აწმყო დროს კარგი მსატყა, მომავლის წინ მძღომედია;  
რადა თქმა უნდა უსდუბა მას ოფედის როდია,  
ისე ანათებს სტენასე, როგორც ნამდვილი ბროდია.

რამდენი ხანიც გამოდის თან-და-თან უგეტესია,  
სიკეთე ჩვენის სტენისთვის მრავალი დაუთესია.  
ვოდდევილებში ცქრიალა, ცუგრუმელა და მკამსია,  
დრამებში სერიოზული, როგორც რიგი და წესია.

ნ. მ. გაბ. — ცაგ...სას.

ტაში და ბრავო ატუდება ვოკეას მის გამოჩენასე,  
აღტაცებაში მოვეკვართ ვოველს წამოდგენასე.  
სიცილს ვერ იჭერს მსმენელი, როცა მას სედაეს სტენასე,  
სიმღერა იცის საუნსო ქართულ და სომხურს ესასე.

ქ. ე. ანდ...სას.

მონეტარია პირველი, ეტვი არ არის ამაში,  
ჯეირანივით დაქროლის ქართულ თუ მოდნის კაბაში.  
თან-და-თან ნიჭი იზინა თვით სერიოზულ დრამაში, 1)  
უგეტეს მსარეს შეადგეს მისი ლეგურის თამაში.

მ. მ. მძა...სას.

ხელთენურათა გადმოგვცა მან მწუხარება დედისა,  
შვილის გულისთვის მომიმენის, რძალთან მომდრეკის  
ქედისა, 2)

1) დრამა „დამნაშავეს“ „ოჯახი“

2) დრამა „ცხოვრების თანამოგზაური“

დედამთლის რძალსედ წუწუნი, გადია ერთგულ-უბედისა, <sup>3)</sup> ახალი დროის მღურავის, უმეყოფილს ბედისა.

გ. აბა...ქს.

ყოველი ნიჭით შეძეული, თამბი, გამბედავია, ქართულ თეატრის საქმესედ აქვს დადებული თავია. სიბნელეს ებძვის მამაცათ, სანამ ტანსედ აქვს შელავია, ლამის იფხსედ დაყენოს თეატრი მომაკვდავია.

რა როლსაც სელსა მოჭკიდებს დიდის ხელფანებით სასხვს, მოქალაქეთ და სირაჯებს ვაჯრზე სეთქავს, ერთ ლასხვს, მე რა გაჭო, ვისაც უნდა, თვით თეატრში დაინახავს, უკეთესი სლესტაკოვი <sup>4)</sup> არა სტენას არ უნახავს.

გ. ალექ...ქს.

ტაშის კვრით და „ბრჯო-ბისით“, როგორც ვსედავთ ხალხი სწყალობს, „გორანდოს“ როლს რა თამაშობს, ნამდვილ „გორანდოსებრ“ წყალობს. „ქამლეტი“ რომ შეითვისოს, გარეგნობით თუძც საშყალობს, „ქამლეტსედ“ ის ესერსება, როცა გუზლეტებსა გალობს.

ს. მახ...ქს.

თარგმანებში მოხუცებულთ, არგინაღში სოფლის გლეხებს ის თამაშობს რიგინათ; „ლაერტში“ კერ დაიკვებებს. რეტენსენტსედ ის ცხარდება, თუ ასწავლეს დაიფეთებს, „ჯამბაზაშვილს“ <sup>5)</sup> კარგათ ბამავს და ლეკურშიც სმარობს იფხსებს.

ნ. ჯორჯ...ქს.

ორის წლის წინ მას ვიტნობდი და წელს პირველათ ვსედავ, „შოლონიოს“ ცოცხლად აღდგენს, ამის თქმასა მეტა ვბუდავ; სხვა როლებში იგი თითქმის არ მინახავს, მმას ვიკემნდავ.

<sup>3)</sup> კომედია „ალერსო ბადე“

<sup>4)</sup> კომედია „რევიზორი“

<sup>5)</sup> კომედია „ელანდელი სიყვარული“

რაც არ ვიცი გაგებდები, მე სხვის ნათქვამს ვერ წავსებავ.

ო. ცაგ...ქს.

ოჯასთ მამებს, ტკბილ მოხუცებს ძრიალა ჭკავს მისი გრძი, თუძც ერთად ვერ თავსდებათ თვალთ ბრიალი—პირსედი. „კინტოში“ კი მას უსდება ქეიფობა და ნადიმი, საზოგადოთ მისი როლი არ არს ტვიროთი დასამძიმი.

კ. მაქ...ქს.

ჩემნით ვერას დაუმტებ, რაც რომ უთქვამს „რეტენსიას“, გითომ როლებს არ სწავლობდეს, ამითი თავს აძლეებს ზიანს, ხასიათებს ერთად ურეებს მრისხანეს და თავაზიანს, ეგელა როლში ნისლი ასლავს, „გრემის“ <sup>6)</sup> როლში დღეს ჭკავს მზიანს.

ბ. ლომ...ქს.

იმერლის როლს ის თამაშობს სინამდვილით, არ ჭკავს ცალი, ნამდვილს ტიზსა ის გვიხატავს, ისმენს ყური, სედავს თვალთ, მაგრამ იგი სხვა როლებში, ვიტყვი, მოჩანს ერთობ მეტადი, „დონ-ჟუენანდოს“ <sup>7)</sup> ისე გაგდა, ვით ფსინსელსა—ძალსედ მოგრალი.

უგბე ვტმნობ, როგორც უსწავლის, არ ვარგან ჩემი ასრები, თავის საჩხათ კი არ ვსწერ, ნურც თქვენ იქნებით მკაცრები. რაც ხამოვსუღვარ თბილისში, რესტორანებში დავსძვრები, თუ პირველათვე დამცინეთ, მე დამკარგვის დავთრები.

სანდრუა ბიჭი.

Handwritten signature and notes in red ink, including the name 'სანდრუა ბიჭი' and other illegible text.

<sup>6)</sup> ოპერეტა „მეფლისი იტალიელებით“

<sup>7)</sup> დრამა „დამნაშავის ოჯახი“

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.